სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ხარისხის მართვის პოლიტიკა

სააგენტოს შესახებ:

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის ძირითადი ფუნქცია და უფლებამოსილებაა განახორციელოს სახელმწიფო კონტროლი სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის მიმართულებებით.

სააგენტოს საქმიანობის ძირითადი უფლება-მოვალეობებია:

ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, მომხმარებელთა ინტერესების, ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, მცენარეთა სიჯანსაღის დაცვა. ასევე, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება.

ხარისხის მართვის პოლიტიკა

საკუთარი ფუნქციების ეფექტიანად შესრულებისა და უწყვეტი განვითარებისთვის, ასევე დაინტერესებულ მხარეთა მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ სააგენტოში დაინერგოს ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც დაფუძნებული იქნება საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 მოთხოვნებზე.

ხარისხის მართვის სისტემის სრულყოფის მიზნით, სააგენტო მჭიდროდ თანამშრომლობს ყველა დაინტერესებულ მხარესთან: ბიზნესოპერატორებთან, მომხმარებლებთან, სერვისებისმომწოდებლებთან, ზედამხედველ სტრუქტურებთან, საჯარო სექტორის სხვადასხვა უწყებებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დონორებთან და ა .შ.

საკუთარი საქმიანობის წარმართვისას სააგენტო:

- ითვალისწინებს მის საქმიანობაზე მოქმედ ძირითად შიდა და გარე ფაქტორებს, მათგან მომდინარე რისკებსა და შესაძლებლობებს. ასევე, ანგარიშს უწევს დაინტერესებული

მხარეების მოთხოვნებს, საჩივრებსა და რეკომენდაციებს;

- განსაზღვრავს და აფასებს სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებსა და შესაძლებლობებს, რომლებიც გავლენას ახდენს სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების ხარისხზე;
- გეგმავს სააგენტოს საქმიანობის ხარისხის მართვის სისტემის გაუმჯობესების მისაღწევად საჭირო დროში გაწერილ აქტივობებს და მათ მისაღწევად საჭირო კონკრეტულ სამოქმედო ნაბიჯებს;
- უზრუნველყოფს სააგენტოს საქმიანობის სხვადასხვა მომხმარებელ ჯგუფებთან ურთიერთობების განსხვავებულ მიდგომებს, იკვლევს აღნიშნული ჯგუფების აზრს და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მუდმივად ცდილობს საკუთარი პროცესების სრულყოფას და დაახლოვებას მომხმარებელთა მოთხოვნებთან;
- ახდენს თანამშრომლების კომპეტენციის პერმანენტულ კვლევას, უზრუნველყოფს ტრენინგების ორგანიზებას და აფასებს ჩატარებული სასწავლო პროგრამების ეფექტურობას;
- მონაწილეობას იღებს საქართველოს კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების ევროკავშირთან დაახლოვების პროცესში;
- ზრუნავს სხვადასხვა პოზიციის თანამშრომელთა ჩართულობაზე ხარისხის მართვის სისტემის ფუნქციონირებაში;
- მუდმივად ახდენს სააგენტოს საქმიანობის პროცესში დაგროვილი მნიშვნელოვანი გამოცდილების ანალიზსა და ინსტიტუციონალურ მეხსიერებაში აკუმულირებას;
- უზრუნველყოფს ხარისხის მართვის სისტემის შიდა აუდიტის პერიოდულ განხორციელებას, აუდიტის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამობების ანალიზს, მაკორექტირებელი ღონისძიებების დასახვას და მათ განხორციელებას.

ხარისხის მართვის სისტემის გავრცელების არეალი:

სურსათის ეროვნული სააგენტოს ხარისხის მართვის სისტემა ვრცელდება თბილისის საქალაქო სამსახურის მიერ სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელებაზე, შესაბამისად სისტემის შემადგენელ ძირითად პროცესებს წარმოადგენს:

- ინსპექტირება;
- აღიარება;
- HACCP-ის აუდიტი;
- მონიტორინგი;

- ნიმუშის აღება;
- დოკუმენტური შემოწმება;
- ზედამხედველობა.

ხარისხის მართვის სისტემის არეალში შემავალი დამხმარე პროცესებია:

- სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამის შემუშავება;
- საზოგადოების ინფორმირება (მოწამვლების შემთხვევებზე);
- სასწავლო პროგრამების ორგანიზება;
- თანამშრომელთა ადაპტაცია;
- ნორმატიული და საკანონმდებლო აქტების შემუშავება;
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საჩივრების განხილვა;
- საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება;
- თანამშრომელთა რეკრუტინგი;
- მომწოდებელთა შერჩევის (ტენდერების) მართვა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად;
- სააგენტოს შიდა აუდიტი;
- დოკუმენტაციის კონტროლი.

ხარისხის მართვის სისტემა დაფუძნებულია საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015-ის მოთხოვნებზე. გამონაკლისს წარმოადგენს სტანდარტის 8.3. პუნქტი, რომლის მოთხოვნებიც არ ესადაგება სააგენტოს საქმიანობას.